PFM
POLSKIE FORUM MIGRACYJNE



Urzędy pracy w Polsce – jak mogą ci pomóc? – język gruziński

დასაქმების სამსახური პოლონეთში – რა დახმარების მიღება არის შესაძლებელი?

პოვიატის დასაქმების სამსახურები - [Powiatowe urzędy pracy] (PUP) უწევენ დახმარებას უმუშევრად ან სამუშაოს მაძიებლად დარეგისტრირებულ პირებს.

უცხოელებს, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, უფლება აქვთ დარეგისტრირდნენ პოვიატის დასაქმების სამსახურში, თუ მათ აქვთ ბინადრობის მოწმობა, რომელიც გაიცა ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთ საფუძველზე:

- დევნილის სტატუსი,
- მუდმივი ბინადრობის უფლება,
- ბინადრობის ნებართვა ევროკავშირის გრძელვადიანი რეზიდენტისთვის,
- დროებითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაცემულია მაღალკვალიფიციური პროფესიით სამუშაოს შესრულების მიზნით,
- დროებითი ბინადრობის ნებართვა გაცემული სამეცნიერო კვლევის ჩატარების მიზნით;
- დროებითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაცემულია ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მქონე ევროკავშირის სხვა ქვეყანაში,
- ჰუმანიტარული მიზეზების გამო გაცემული ბინდრობის ნებართვა ან ტოლერანტული ბინდრობის ნებართვა,
- პოლონეთში დროებითი ან დამატებითი დაცვის სარგებლობასთან დაკავშირებით,

- პოლონეთის მოქალაქის ოჯახის წევრის დროებითი ბინადრობის ნებართვა ან ბეჭედი სამგზავრო დოკუმენტში [პასპორტში], რომელიც ადასტურებს დროებითი, მუდმივი ან ევროკავშირში გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვაზე განცხადების ჩაბარებას, თუ დაინტერესებულ პირს განაცხადის ჩაბარებამდე უკვე ჰქონდა მიღებული დროებითი ბინადრობის ნებართვა
- დროებითი ბინადრობის და მუშაობის ნებართვა ან სამუშაო მიზნებისთვის გაცემული ვიზა, იმ პირობით, თუ უმუშევრად დარეგისტრირებამდე დაინტერესებული პირი მუდმივად მუშაობდა პოლონეთში მინიმუმ 6 თვის განმავლობაში

და აკმაყოფილებს დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის ბაზრის უწყებების შესახებ კანონით დადგენილ პირობებს.

უმუშევრად დარეგისტრირებული უცხოელთა უფლებები

რეგისტრაციის შემდეგ ამ პირებს ექნებათ უფლება ისარგებლონ შემწეობით და შრომის ბაზრის სერვისებით, ანუ:

- სამუშაოს მოძიების შუამავლობა,
- პროფესიული კონსულტაცია და ინფორმაცია,
- დახმარება სამუშაოს აქტიურ ძიებაში,
- დასაქმების სამსახურის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობა.

სამუშაოს მოძიების შუამავლობა – სამუშაოს განთავსება - მოიცავს შეთავაზებების მოძიებას, რომლებიც შემდეგ ქვეყნდება დასაქმების სამსახურებში და სამუშაო შეთავაზებების ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში (https://tinyurl.com/2p8h55ca).

დასაქმების სამსახურის თანამშრომლები, ერთის მხრივ, ეხმარებიან უმუშევარსა და სამუშაოს მაძიებლებს შესაბამისი დასაქმების პოვნაში, მეორე მხრივ კი დამსაქმებლებს ეხმარებიან შესაბამისი თანამშრომლების მოძიებაში, მიმართავენ მათ, ვინც საუკეთესოდ აკმაყოფილებენ შეთავაზებაში მითითებულ კრიტერიუმებს. სამსახურის თანამშრომლები აწყობენ უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა შეხვედრებს დამსაქმებლებთან, დასაქმეის ფორუმების ოტგანიზების მეშვეობით. ასევე მნიშვნელოვანი ამოცანაა მომხმარებლების ინფორმირება ადგილობრივ შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობისა და მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ და უმუშევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება უმუშევრობის დარეგისტრირების შედეგად მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

პროფესიული კონსულტაცია მოიცავს დასაქმების სამსახურის თანამშრომლის დახმარებას პროფესიული პრობლემების გადაჭრაში იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მიმართავენ ასეთ დახმარებას. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ დახმარება შემდეგ საკითხებში:

- პროფესიის არჩევა ან შეცვლა,
- პროფესიული კარიერის დაგეგმვა,
- კვალიფიკაციის ამაღლება,
- თქვენი კომპეტენციების და ინტერესების განსაზღვრა,
- პროფესიული განვითარების დაგეგმვა.

 უმუშევრად რეგისტრირებული პირები ასევე დაექვემდებარებიან ჯანმრთელობის დაზღვევას და მაშასადამე ისარგებლებენ უფასო სამედიცინო დახმარებით. იმ უცხოელების შემთხვევაში, რომლებსაც აქვთ დროებითი ბინადრობის და მუშაობის ნებართვა (ე.წ. ერთიანი ნებართვა) და სამუშაოს შესასრულებლად გაცემული ვიზა, ტრენინგებში მონაწილეობა არ მოიცავს ტრენინგებთან, დამატებით განათლებასთან დაკავშირებულ ფინანსურ დახმარებას. დარეგისტრირებულ უცხოელს ასევე შეიძლება ჰქონდეს უმუშევრობის შემწეობა, თუ ის ცხოვრობს პოლონეთში ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ბინადრობის ნებართვის საფუძველზე და მუშაობდა და იხდიდა გადასახადებს შრომის ფონდში საერთო ჯამში 365 დღის განმავლობაში უმუშევარად დარეგისტრირების მომენტამდე 18 თვის მანძილზე.

როგორ უნდა დავრეგისტრირდეთ როგორც უმუშევარი ან სამუშაოს მაძიებელი?

თქვენ უნდა გამოცხადდეთ მუდმივი ან დროებითი რეგისტრაციის ადგილისთვის შესაბამისი პოვიატის დასაქმების სამსახურში, ხოლო თუ თქვენ არ გაქვთ არსად არ ხართ ჩაწერილი, მიმართეთ პოვიატის დასაქმების სამსახურში, ადგილსამყოფის მიხედვით. შესაძლოა საჭირო მონაცემების წინასწარი წარდგენა დასაქმების კომპეტენტურ სამსახურში ელექტრონული სარეგისტრაციო სისტემის მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომია praca.gov.pl. ასეთ შემთხვევაში დასაქმების სამსახური დაგინიშნავთ დღეს მონაცემების მიწოდების მომენტიდან არაუმეტეს 7 სამუშაო დღისა, ყველა საჭირო დოკუმენტის ჩაბარებისა და რეგისტრაციისათვის. იმ სიტუაციაში, როდესაც პირი არ მოვა დადგენილ დღეს, მისი მონაცემები წაიშლება დასაქმების სამსახურის UP სისტემიდან.
გახსოვდეს! უმუშევრის სტატუსი ენიჭება დასაქმების სამსახურში გამოცხადების, მოწოდებული მონაცემების პირადი ხელმოწერით დადასტურებით (დასაქმების სამსახურის თანამშრომლის თანდასწრებით და სისხლის სამართლებრივი ყალბი განცხადებების წარდგენისათვის პასუხისმგებლობის დადასტურებით) და მონაცემების სიზუსტის და სტატუსის შენარჩუნების პირობების გაცნობის შესახებ განცხადების წარდგენის დღეს.
თუ თქვენ გაქვთ უსაფრთხო ელექტრონული ხელმოწერა ან დადასტურებული სანდო პროფილი, შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ როგორც უმუშევარი ვებგვერდის მეშვეობით praca.gov.pl.
თქვენ შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ როგორც უმუშევარი (ჯანდაცვის და უმუშევრობის შეღავათების ხელმისაწვდომობის ჩათვლით) ან როგორც სამუშაოს მაძიებელი.

სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაცია

უცხოელებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ უმუშევრად დარეგისტრირებისთვის აუცილებელ პირობებს, შეუძლიათ დარეგისტრირდნენ სამუშაოს მაძიებლებად. ამის შემდეგ ისინი ღებულობენ წვდომას დასაქმების სამსახურების მიერ მოწოდებულ სერვისებზე, მათ შორის სამუშაო შუამავლობისა და პროფესიული კონსულტაციების ფარგლებში .

ხელმოსაწვდომი მომსახურეობა პოვიატის დასაქმების სამსახურში რეგისტრაციის არმქონე პირებისთვის

უცხოელებს, რომლებსაც აქვთ დროებითი ბინადრობის და მუშაობის ნებართვა ან სამუშაოს შესრულების მიზნით გაცემული ვიზა ან სხვა დროებითი ბინადრობის ნებართვა - მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი დარეგისტრირებული უმუშევრად ან სამუშაოს მაძიებლებად, შეუძლიათ ისარგებლონ:

- დასაქმების სამსახურის [UP] მიერ მოწოდებული საყოველთაოდ ხელმისაწვდომი დასაქმების სერვისებით;
- ინფორმაციით პროფესიების, შრომის ბაზრის, ტრენინგებისა და სწავლებების შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც სთავაზობს დასაქმების სამსახური;
- საინფორმაციო და ელექტრონული მონაცემთა ბაზებით სამუშაოს ძიების და თვითდასაქმების უნარების შესაძენად.

შრომის ბაზრის შეღავათებითა და მომსახურებით სარგებლობის უფლება დამოკიდებულია უცხოელის ბინადრობის უფლების სახეობაზე და ენიჭება მხოლოდ მისი მოქმედების პერიოდში. ვიზის ან დროებითი ბინადრობის ნებართვის გაუქმების ან ამ დოკუმენტების ვადის გასვლის შემდეგ უცხოელი კარგავს უმუშევრის ან სამუშაოს მაძიებლის სტატუსს.

გამოსადეგი ბმულები:

oferty.praca.gov.pl

praca.gov.pl/eurzad/index.eup#/panelOgolny

psz.praca.gov.pl/rynek-pracy/bazy-danych/doradca-2000

zielonalinia.gov.pl/web/zielona-linia/-/jak-sie-zarejestrowac-w-powiatowym-urzedzie-pracy-32331

UNIA EUROPEJSKA
FUNDUSZ AZYLU, MIGRACJI I INTEGRACJI

POLSKIE FORUM MIGRACYJNE

უსაფრთხო სადგური
პროექტი თანადაფინანსებულია
თავშესაფრის, მიგრაციისა და
ინტეგრაციის ფონდის ეროვნული
პროგრამის ფარგლებში

Fundacja Polskie Forum Migracyjne
ul. Szpitalna 5/14, Warszawa
+48 692 913 993
info@forummigracyjne.org
www.forummigracyjne.org

წარდგენილ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი. ევროკომისია და შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის სამინისტრო არ აგებენ პასუხს მოწოდებული ინფორმაციის გამოყენებაზე.